№ 96
პარასკევი, 8 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 96
პარასკევი, 8 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 22 გვერდია.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ დასახსოვრებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ, მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კანტორაში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество.
(50—6.—32)

**მევენახეთა საყურადღებოდ.**

**ისყიდება**

**ვერმორელის აპარატები**

(გაზის სასხურებელი მანქანა)

ადგილობრივ გაკეთებული და გაუმჯობესებული, რომელიც საზღვარგარეთიდგან მოტანილზედ 5—6 წლით უფრო დიდ ხანსა სძლებს.

ჩემ გაკეთებულ აპარატზედ ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

Механическое Водопроводное Заведенiе
**С. И. Лазарева**
სამეხანიკო ქარხანა ს. ი. ლაზარაშვილისა

**ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: Тифлисъ Сергiевская ул., д. Кетхудова № 9.
(3—83—2)

წლიური საზოგადო კრება „**ქართველ ქალთა ამხანაგობის**“ **წევრთა** დანიშნულია 9 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, № 10.

განსასილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (6—უ.—4)

**ქართული თეატრი**

კვირას, 10 მაისს, 1898 წ.
ქართულის სცენის მოყვარეთაგან
წარმოდგენილი იქნება:

**ყარამანი**

ფეერია 3 მოქმედებად და 11 სურათად, ხალხურ ყარამანიანიდგან გადაკეთებული
ვლ. ალნიაშვილისაგან

ადგილების ფასი დაკლებულია
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.
ბილეთები არავის არ ეგზავნება
(2—უ.—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(სუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
(50—80—10).

**მთავრობის განკარგულებანი**

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ართვინის ოლქის გამგეობის თარჯიმანი, კოლეჟსკი სეკრეტარი ზაალიშვილი.

# ახალი ამბავი

*** შაბათს, 9 მაისს, წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს, მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე მწირველი ბრძანდება კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. გალობა ქართულად იქმნება და შეასრულებს ამავე ეკკლესიის ხორო.

*** ქართულმა დრამატიულმა კომიტეტმა დაადგინა, კვირას, 17 მაისს, წარმოდგენა გაჰმართოს მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

*** ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა, რომ ამ საზოგადოებამ გარდასცეს ტფილისის მაზრის უფროსს 150 ფუთი შაბიამანი, 400 ფუთი გოგირდი, 60 ცალი სასხურებელი მანქანა და 150 ცალი გოგირდის შესაყრელი მანქანა ვენახების საწამლებლად.

*** ორშაბათს, 4 მაისს, პირველი მოლაპარაკება ჰქონდათ ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს სხვა და სხვა საგნების გამოსარკვევად. ამ მოლაპარაკებებზედ თავმჯდომარეობს გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

*** ქუთაისის პოლიცმეისტერი სვიმონოვი სამართალში იქმნა მიცემული ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებისამებრ, ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის წინადადებისა თანახმად, იმის გამო, რომ სამსახურის აღსრულების დროს ყალბობა ჩაუდენიაო. სვიმონოვის სამართალში მიცემის მიზეზი...

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

დღე და ღამ ბედსა დავეძებ
ქვეყნიდგან ქვეყნად მავალი,
არ იქნა, ვერსად მივაგნე,
ვერც ვნახე მისი ნავალი;
ჭირი დამატყდა ძებნაში
უანგარიშო, მრავალი,
მაგრამ არ ვცხრები, მით ვეძებ,
ზღვაზეც გზა დავქენ სავალი!..

დ. მაჩხანელი

**გ ე ლ ა**

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან)

I

გათენდა მარიამობის დღე. ცა ისე მოწმენდილიყო, რომ ერთის ღრუბლის ნამცეციც აღარ სჩანდა, ბუნებას თითქო ჯერ ისევ ეძინა და ბურუსით მოხვეულ ტბათანის არე-მარე მთები დაღვრემილად გამოიყურებოდნენ. ჰბერავდა ნაროვნის მთებიდგან ნელი დილის ცივი სიო. აჰა, მზემაც ამოატანა და თავისის მადლიანის სხივებით მოჰფინა მთის წვერები. ამ დროს ხევების უფსკრულები-კი ჯერ ისევ ბნელის ბურუსით იყო მოცული, მაგრამ ბევრ ხანს-კი არა. მზემ აქაც ჩქარა ჩაჰხედა და თავისის სხივებით გაჰფანტ-გამოჰფანტა ბურუსი ცის სივრცეში.

ამოვიდა მზე და მასთან ერთად ბუნებამაც გამოიღვიძა: ტყეებში ჩიტებმა შექნეს სტვენა-გალობა. აქეთ იქითა მთის წვეროებიდგან სანადიროდ გამოიშალნენ ყორნები და სვავები—„ფრინველნი მაღლის მთისანი“. მხოლოდ მაღლა ორი დედალ-მამალი არწივი, როგორც მეფე ფრინველთა, ამაყად, მედიდურად დასრიალებენ იმ თვალ-მიუწვდენელ ცის სივრცეში და ყრიყანით აგრძნობინებენ დანაშთენ ფრინველებს თავიანთ ძალასა და უპირატესობას. ძროხა ნაწიდრებიდგან *) აიშალა და ზმორით ტაბათანის გორაკებზე გაიშალა. ხალხიც გამოვიდა თავიანთ ალაჩუყებიდგან **), ზოგი საქონლისაკენ მიეშურება დასათვალიერებლად, ზოგი თუნგებ-ზურგზე აკიდებულნი წყაროზედ მიდიან. ჩქარა ალაჩუყებთან გამოჩნდა ცეცხლის ბოლი. ერთის სიტყვით ხალხი რაღაც ფაცა-ფუცში და მზადებაშია. როგორ არ უნდა იყვნენ მზადებაში? ხომ მარიამობის დღე გათენდა და ეს დღე დიდი დღეა ყოველ ქრისტიანისათვის, ორის კვირის მარხვის შემდეგ ყოველი ოჯახი სცდილობს როგორმე დაუხვდეს ბედნიერ დღეს. ვინ იცის, ზოგი გარდაცვალებულის პატრონია და ამისათვის ვალდებულია, საკლავი დაჰკლას, მღვდელი მოიწვიოს, და აკურთხებინოს სუფრა. მოიწვიოს ხალხი, რომ შენდობა უბოძონ განსვენებულს. ამ დღეს ყველა სცდილობს ახალი ჩაიცვას, გავიდ-გამოვიდეს. ყოველი ოჯახი, ღარიბია იგი თუ მდიდარი, სცდილობს, რაც შეიძლება კარგი სუფრა ჰქონდეს იმ ბედნიერ დღეს სადილზედ, რომ, ვინ იცის, კაცნი ვართ, მისულ სტუმარს ღირსეულად დაუხვდეს.

მოატანა შუა დღემაც. აქა-იქა ალაჩუყებთან მოსჩანს შავად ხალხის გუნდი. აქეთ-იქიდგან მხრებზედ პატარ-პატარა ხურჯინებ გადაკიდებული დედაკაცები დაღვრემილის სახით მიეშურებიან ალაჩუყებისაკენ, სადაც ხალხი იკრიბება და მკვდრის ხარჯი უნდა იყოს.

ჩქარა მოისმა ალაჩუყებიდგან დედაკაცების ტირილი. ერთი მაღალ ხმით დასტირის: ამკობს (თუ ვაჟკაცი იყო) მის ვაჟკაცობას, მტერთან ბრძოლას. სხვები ზუზუნითა და ქვითინით ბანს აძლევენ. დედაკაცების გროვის შუაში გარდაცვალებულის ტანისამოსია გაშლილი თავისის იარაღით. ამ დროს შორი-ახლოს მამაკაცები ზოგი შეშას ანაფოტებს, ზოგი ცეცხლს აჩაღებს. ერთი ორიოდე შორი-ახლო საკლავებს ატყავებენ. ძაღლებიც გარშემო ეხვევიან და კუდის ქნევით მოწიწებით თვალ-ყურს ადევნებენ ყოველ საკლავის გამტყავებელის მოძრაობას, სხვები სხვადან და ლაპარაკში არიან. რასაკვირველია, ლაპარაკი უფრო გარდაცვალებულს შეეხება. მოვიდა ღვდელი, აკურთხა სუფრა (ტაბლა), სუფრაზედ მოხარშული ხორცის ნაჭრები, სამწვადე ხორცი, ნახევარი ყველი, ჩარექა ღვინო. გაათავა „მამამ“ წესი თუ არა, დიაკვანი იღებს კარგ-კარგ ნაჭრებს სუფრიდგან და ალაგებს ამისათვის მოტანილ ხურჯინში. ღვინოსაც, რასაკვირველია, ტიკში ასხამს. ყოველ დიაკვნის მოძრაობას მღვდელი მოწიწებით თვალ-ყურს ადევნებს. მღვდელი და დიაკვანი მიდიან, რომ ახლა ამ რიგადვე სხვა გარდაცვალებულის სუფრა აკურთხონ.

ხალხი სხდება პურის საჭმელად. ქალები ცალკე და ვაჟები ცალკე. ჰშლიან გრძლად სუფრას და ორ მხრივ მწკრივად სხდებიან. მოდის ჯამებში კერძი კერძზედ, დაიწყო სმა-ჭამა. ღვინო თანდათან, უფრო და უფრო ედება ხალხს. აქამდის ჩუმმა, დაღვრემილმა, გულშემატკივარმა ხალხმა ეხლა ყაყანი გააჩაღა და სახეები გაუბრწყინდათ.

*) საქონლის ღამის ბინა.

**) ნაბდების ქოხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეზად ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი გახდა, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი პოლიციელი ახვლედიანი ფიცის ქვეშ ცრუ მოწმობისათვის, ცოლ-ქმარს ჯოხაძეთა მიერ ყალბის ფულის მოჭრის საქმის გარჩევის დროს, რომელნიც სასამართლომ გაამართლა. ამ საქმის გარჩევამ გამოარკვია, რომ სვიმონოვს გამოძიების ოქმებში დაუმახინჯებია საბუთები და ოფიციალურ ქაღალდებში ჩაუმატებია ცრუ-ცნობები.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ შუამდგომლობაა აღძრული კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ახალქალაქის მაზრაში დაარსებულ იქმნას ცხენოსანი დარაჯი ავაზაკობის მოსასპობად.

⁂ ორშაბათს, 7 მაისს, ცალკე კომისიამ, ტფილისის პოლიცმეისტერისა და ქალაქის წარმომადგენელთა მონაწილეობით, გასინჯა ის 30 ნაჭერი მიწა, რომელიც ნაპოლეონ ამატუნის გაუყიდნია. ეს მიწა გასასყიდად აღკრძალული იყო, რადგანაც ამატუნის ერთს მემკვიდრეს, ქ-ნ მკრტიჩიანცს, ხაზინის ვალი ჰმართებია და ამ ვალის გამო ყოფილა იგი აღკრძალული, ამისდა მიუხედავად, ამატუნს, რომელსაც, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ციმბირში გაგზავნა გარდაუწყვიტეს, ეს მიწა ზომით 2500 ოთხ-კუთხი საჟენი, მაინც მიუყიდნია კერძო კაცებისათვის, თითო ოთხ-კუთხი საჟენი 6 მანეთად.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავმა მიანდო ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას იმის გამოკვლევა, თუ ტფილისის საწყობებში რამდენი ფქვილია შენახული. ეს ცნობები საჭიროა პურის ფასის გაწეს-რიგებისათვის.

⁂ ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი კ. ვ. კოლბასინი დანიშნულ იქმნა ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედაო.

⁂ ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მიეცეს მას 110 ბერდანის თოფი სუხუმის საერობო დარაჯის შესაიარაღებლად.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კახეთს, სადაც აზრადა აქვთ დააარსონ სხვა-და-სხვა ადგილას ამერიკულ-ვაზის სანერგე. ამასთან აგრონომ-ექსპერტები, კომიტეტის მინდობილებით, ეცდებიან ასწავლონ ხალხს რა საშუალებით შეიძლება ბრძოლა ფილოქსერისა და სხვა სენის წინააღმდეგ.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს, თვალ-ყური გეჭიროთ, რომ სოფლის სკოლათა შენობები კარგად შეინახონ ხოლმეო. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის შენობას აკლია რამე, ან დაძველდა, სამაზრო ადმინისტრაციამ სოფლის საზოგადოების ხარჯით უნდა შეაკეთოს იგი. თუ სკოლისათვის ახალის შენობის აგებაა საჭირო და საზოგადოებას არა ჰყოფნის ფული, საზოგადოების ამორჩეულთ სახალხო სასწავლებელთა ადგილობრივ ინსპექტორს უნდა მიჰმართონ და სთხოვონ როგორმე შეძენილ იქმნას საჭირო თანხა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ ზუგდიდიდგან, რომ 4 მაისს დილით ბოქაულმა დგებუაძემ შეიპყრო სოფ. კოკში ციმბირიდგან გამოქცეული ავაზაკი ბარგუ ცხაკაია, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ადგილობრივ მცხოვრებლებსაო.

⁂ სიღნაღიდგან სწერენ „ახ. მიმ.“: „სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანამდებობის აღმსრულებლად, ფულის გაფლანგვის გამო დათხოვნილის კაზიმიროვის მაგიერ, დანიშნულ იქმნა ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი, რომელიც უკვე მოვიდა. ხმა დადის, რომ ორი სხვა მოხელეც იქმნება დასჯილი, რადგანაც ეს მოხელეები ყოველ თვე კასის გასინჯვის დროს ამოწმებდნენ, რომ თანხა სრულად არისო, ნამდვილად-კი ფულს 5 წლის განმავლობაში ჰფლანგავდნენო.

⁂ გაზ. „ნორ-დარი“ სწერს, რომ ბაქოში არსდება განსაკუთრებული ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექმნება რკინის გზის ლიანდაგი გაიყვანოს ევლახიდგან შუშამდისაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ხელთუბანი,** (გორის მაზრა), 3 მაისი. ორს კვირაზედ მეტია, რაც თავად ა. ა. არღუთინსკის წერილი დაიბეჭდა, რომლითაც იგი იწვევს სოფლის გულშემატკივართ, შეატყობინონ ხალხის გაჭირება მოუსავლობის გამო, თუ სადმეა. მას აქეთია გაზეთებს თვალს ვადევნებ, ან ახლა დაიბეჭდება ჩვენი სოფლის გაჭირების შესახებ რამე, ან ახლა-მეთქი. მაგრამ მე არ მოგიკვდეთ, კრინტიც არავინ დასძრა. ჯერ ისევ ყურზედ სძინავთ სოფლის გულშემატკივართ. ვინ არიან ეს სოფლის გულშემატკივარნი? ჰყავს-კი სოფლებს? როგორ არა! ქართლში სოფლებმა განაჩენებით ამოირჩიეს სოფლის მომვლელ-პატრონად ას-ოც თუმნიანი მამასახლისები, რომლებსაც ჩააბარეს თავისი თავიცა და თავის დაჭირება-დალხინების თვალის დაჭერაც. მაგრამ რას ვხედავთ?!. დამემოწმებით, რომ ქართლიდგან ჯერ ერთი წერილიც არ დაბეჭდილა ამ ვაჟბატონებისაგან ხალხის გაჭირვების შესახებ. ნუ თუ ხალხს არ უჭირს? ნუ თუ მართლა ეს გაჭირება ულუკმობისაგან, რაც ასე გულს უკლავს მნახველს და თვით ხალხი შიმშილისგან გადახრწნეული, ყურადღების ღირსნი არ არიან? ჩამოიარეთ თქვენს სოფლებში, დაიბარეთ ხალხი, განგებ მაინც იკითხეთ, რამდენსა აქვს ლუკმა! აბა ჯამაგირების დრო მოვიდეს! მაშინ უეჭველია შეიტყობთ, რომ მარცვალი გასაყიდი არავის მოეპოვება, რომ ეს სამი-ოთხი თვეც არის ხალხი თითო ჩანახოთი ჰყიდულობს სიმინდს ზოგი წისქვილში და ზოგიც მეზობლებში, თუ ვინმემ გაიმეტა.

მაგალითად სოფელი ხელთუბანი ავიღოთ. ხელთუბანი პურის მოსავლით განთქმულია. აქაურს ხალხს არც-კი უნახავს რიგიანი შიმშილობა და ამიტომაც ხშირია აქ ანდაზა: „კაცი შიმშილით არ მოკვდებაო“, მაგრამ ამ ხანად-კი ლამის ერთმანეთიც დაჭამონ. იმავ შემოდგომაზედ ეტყობოდა, რომ მოსავალი არ მოვიდა. კალოზედ კოდი პური 3 მ. 50 კაპ. იყო. მერე უცებ ოთხ მანეთამდე ავიდა. მოგეხსენებათ, ფოსტის ფულობაც მაშინ არის. „მაღაზიის“ ფულიც მაშინ იკრიბება, სკოლისაც, ჩაფრისაც, მღვდლის დრამა კოდ-ნახევარი, დალაქისა ორი ჩანახი სულზედ (მამაკაცზედ), მენახირე, მეღორ-ხბოვე, ყველა ერთად მიადგა საწყალ კალოს. გლეხი სანამ კალოზედ ჰხედავს, რომ ცოტა ჭერია კიდევ, უარს არავის ეუბნება, ყველას პირნათლად უსწორდება. როცა აღარ ექნება, შენც მოითმინეო, ეუბნება მოვალეს. ვისაც რამე ერთი ოთხი-ხუთი კოდი გადურჩა, გაჰყიდეს ამ ხარჯების გასასტუმრებლად, რაკი კაი ფასიცა ჰქონდა. თუ არა ვცდები, ხარჯის ქაღალდში 2,000 მან. მეტი იყო ხაზინიდგან გამოწერილი შესატანად წარსულ 1897 წლისა. სულ 91 კომლი-კია ხარჯის გამტანი ნაღდად. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სოფელში საკომლო სიებით 133 კომლი ითვლება და ამ რიცხვიდგან 30 კომლი ამოწყვეტილია და ამათი ხარჯი სოფელს აწევს კისერზედ. დანარჩენები ზოგი დაკარგულია, ზოგი აქ ბმანდება, მაგრამ შვიდი-რვა წელიწადიც არის, ხარჯი არ გამოაქვს — თავის ნებით არას იძლევა და ვალით კი აბა რას გადაახდევინებენ, რაც არა აქვს-რა. თუმცა-კი, ღვთის წინაშე, ამ 91 კომლშიაც ნახევარი ვალს იღებს, ლუკმას იწყვეტავს, საქონელს ჰყიდის და იმათი ისტუმრებს ხარჯსა. ისიც ამას იმახის, სანამ მეპოვება რამე, ან ვალს მენდობიან, მეც ვაძლევო, როცა ვალს აღარავინ მენდობა, მეც ახლა სხვას ავეკიდები, როგორც ეხლა მე მკიდიანო. ისე ამ სოფლის საქმე მართლა ამ უამარი ხარჯით გამხდარი (გაწერილი 30 მანეთამდე), რომ თუ არა ეწამლა-რა, ხაზინას ამოდენა ხარჯის მძლეველი ხალხი სულ გაუღატაკდება. ამოდენა ხარჯი არც ერთ სოფელს არ აწევს. (ამის შესახებ დაწვრილებით მერე მოვილაპარაკებ სადმე) იმას ვამბობდი, რაკი პურს ფასი ჰქონდა, გაჰყიდა ხალხმა, სთქვეს: ოღონდ ჩაფარი-კი ნუ გვიდგება კარებზედ და შიმშილს როგორც იქნება გავუმკლავდებით. მართლაც-და კის არ შეეშინდება იმათის ხმლებისა და მათრახებისა. ნამეტნავად მათრახებსა ჰხმარობენ მარჯვედ. გაჰყიდეს, თესლიც არ დაუთესიათ. $^3/_4$ ხალხისას სულ სანახევროდა აქვთ დათესილი ორიოდე კაცისაგან. მამულებიც ამ ორიოდე კაცის ხელშია, ზოგი საკუთარია, ზოგიც იჯარითა აქვთ აღებული და ახლა თქვენ განსაჯეთ, რაღა ერგება გლეხსა. ჯერ მეოთხედს აიღებს მამულის პატრონი — დამთესავი, — ეს ღალაო. მერე შუა გაუყოფს პირობისამებრ. მხვნელ-მთესველს დარჩება მოსავლის $^1/_4$. განა, რომ საწუგეშო მდგომარეობაა ხალხისა, არა, „ინტელიგენტ სტარშინებო?“ ადგილი რომ ნებას მაძლევდეს, სულ თითო კომლობრივ ჩამოვთვლიდი ყველას ავლა-დიდებას და მაშინ სინამდვილე ჩემზედ მეტად დაამტკიცებდა ხალხის გაჭირვებას. ვისაც ჰნებავს, მობრძანდეს და თავის თვალით ნახოს ჩემი სიმართლე-სიცრუე.

გაჰყიდეს პური, გაიწყვიტეს ლუკმა, მოიშორეს ჩაფრები და მოისვენეს, რაკი ჩაფარი აღარ ადგათ კარებზედ. პური სულ ათს კომლს აღარ დაჰრჩენია შემოდგომიდგანვე. ღარიბმა ხალხმა ზამთარი ისე გაატარა, რომ მახოხიც კი არ უჭამიათ, მახოხს პურის ქატოსაგან აკეთებენ და რაკი პური არავისა ჰქონდა — მახოხს რისას ჩაჰყრიდნენ. კიდე ცოტ-ცოტა სიმინდი ეყარათ ჯინებში და იმითი გულადობდნენ. აქამდე მჭადს არავინა სჭამდა ხელთუბანში, პურს იყვნენ დაჩვეულები, მაგრამ გაჭირებამ მჭადიც ანატრა. თუ კი მჭადი ექნებათ, რას ინაღვლებენ. მჭადი-კი პური არ არისო. ერთმანეთს ანდაზებით და ართობენ:

— ქალო, მჭადმა და ღორის ქონმა შვილები დამიხოცაო.

— ქალო, და კიდევ გაქვს ან მჭადი ან ღორის ქონიო?

— აღარაო.

— აბა დახოცა ახლა ნახე, ჩემო დაო, აქამდე რა იყოვო.

— მართლაც და თუ კი მჭადი იქნება, განა შიმშილს ვიტყვით და უპურობას ვინაღვლით!

ზამთარში სოფ. მეჯვრისხევში მომიხდა ყოფნა. იქ ლაპარაკი ჩამოვარდა უპურობის შესახებ. მე ვუთხარ, ხელთუბანში ბედნიერ დღეშიაც აღარავისა ჰქონდა პური, სულ მჭადით გამოდიანმეთქი. მიპასუხეს: შე დალოცვილო, მჭადი მეჯვრისხევში ქაბაბიაო. არც არავის მჭადი აქვს და აღარც-არავის პურიო. თუმცა მჭადიც გაჭირებაში პურიანობს, მაგრამ პურს დაჩვეული ხალ-

---

გავარდა ამ დროს თოფი და მისმა ხმამ გრგვინვით გაიარა მთა-კლდეები და ტყე-ხევები. რას ჰნიშნავდა ეს თოფის ხმა? ლეკის ან ქისტის ჯარი ხომ არ შემოესია მოულოდნელად ტაბათანას და მით დღესასწაული არ ჩაუმწარა წოვებას?—არა, ლეკები-კი არა, დაბალია. თოფის ხმა ნიშანია, რომ მეთოფურეები შეიკრიბნენ იმ ალაგას, სადაც იჭექა თოფმა, და დაბალი გაემართნათ. ამით მამა-პაპის ჩვეულებას ასრულებენ. გარდაცვალებულის პატრონებს იმ დღეს გამოაქვთ წინდები, ჩითები (ზემოთა ფეხსაცმელი, სხვილ-ბაწრით მოქსოვილი), შალები და ხელსახოცები, დანიშნულ მანძილზედ აყუდებენ ფიცარს, რომლის შუა რგვლად ქაღალდია მიკრული. ქაღალდის შუა ნახშირ-ილით არის გალესილი და იმის შუა კიდევ ლურსმანია მიჭედილი. ამ ნიშანს ესვრიან თოფს.

თოფის ხმაზედ აქეთ-იქიდგან იკრიფებიან შეკალთავებულები, მხრებზედ თოფებ-გადაკიდული ვაჟები. გაიმართა თოფის სროლა, დადგა მთელ ტბათანაში თოფის გრიალი. ერთი კაცი ნიშანთან სდგას და ჰნიშნავს, ვისი თოფი სად მოხვდა ფიცარს. რასაკვირველია, ყოველი მეთოფურე სცდილობს როგორმე, თუ ლურსმანს არა (დიდი სახელია), ქაღალდს მაინც მოახვედროს. გავარდება თოფი თუ არა, იქიდგან, სადაც ნიშანი სდგას, კაცი დაიძახებს: „ვინ არი“—მავანია, უპასუხებენ აქედგან. ისიც ჰნიშნავს. ფიცართან ბიჭების გროვა სდგას და გავარდება თოფი თუ არა, მისცვივდებიან ფიცარს და სთხრიან მიწას, რომ ტყვიები მონახონ. მორჩა დაბალი. მოიტანეს ფიცარი. დასდეს შუაში და ზომით იგებენ რომლის ნათოფური უფრო ახლოა ნიშანთან. მანძილის მიხედვით ურიგებენ მეთოფურეებს წინდებს, შალებს და ხელსახოცებს. ვინც ნიშანთან სდგას, იმას ყოველთვის ერთი ხელსახოცი ეკუთვნის.

მოიტანეს სუფრა, თითო შენდობას უძღვნიან განსვენებულს და მიეშურებიან, რომ ახლა სხვა დაბალებშიაც დაესწრნენ.

იმ დროს, როდესაც ვაჟები დაბალებში ერთობოდნენ, არც ქალები აკლებდნენ. მხოლოდ ქალებს სულ სხვა გასართობი ჰქონდათ, ტბათანის აქა-იქა გორაკებზედ მოუყრიათ თავი და ტაშ-ფანდურს მისცემიან. გუნდ-გუნდად არიან დაყოფილნი და ყოველ გუნდს ვაჟი ახლავს. ტაშ-ფანდურთან გაისმის მჭეხარედ ვაჟების სიმღერის ხმა. ერთის გორაკიდგან მეორეზედ გადადიან, წინ ვაჟი მიუძღვით. ქალებიც ნაოჭიან თეთრ ტყავებში, რომელზედაც შავი ატლასის,—ან ქიშმირის მანდილი აქვთ გადაფარებული, თვალებამდის მანდილ-ჩამოფარებულნი მორცხვად მისდევენ ვაჟს. გულის მკერდი მიჭედილი აქვთ ვერცხლის სამკაულით და სიარულის დროს ჟღარუნებს. ერთის სიტყვით, ტბათანა იმ დღეს გლოვასთან ერთად ჰხარობდა, რა ვქნათ, „ზოგი სტირს, ზოგი იცინის, ასეა წუთი სოფელი“!..

II

ტბათანის ერთ გორაკზედ ალაჩუყი გატიტვლებულა და წნელების მეტი არა გამოსჩანს-რა *). იქვე ალაჩუყის ახლო ოთხი შეკაზმული ცხენი სდგას, პალოებზედ მიბმული. მოსჩანს ხალხი. რას ჰნიშნავდა ალაჩუყის გატიტვლება, შეკაზმული ცხენები, ხალხის მოყრა? რას ჰნიშნავდა-და იმას, რომ ალაჩუყის პატრონი გელა თავისის ცოლ შვილით პანკისს მიდიოდა, რომ თუშების ჩასვლამდის იქ ეცხოვრა. დიაღ. ეს იყო გელა, სახელოვანი ვაჟკაცი, არა ერთსა და ორს ბრძოლაში დაღესტანში გამოსული, სახელოვანი და ამისათვის მოძმეების მიერ გმირად აღიარებული. რა იყო მიზეზი, რომ გელა ასე უდროო დროს, ამ სიცხეში, მთის კაცი ბარში ჩადიოდა?—სატკივარი! გელა ავად იყო და ეშინოდა მთაში არა დაჰმართნოდა რა და სხვას დასაღონებლად არ გამხდარიყო, მერე, ვინ იცის, ხომ მოგეხსენებათ, მარიამობის თვე მთაში. ადვილი მოსალოდნელი იყო, უცბად თოვლი მოსულიყო; დადგებოდა სიცივე და ავადმყოფი გელა ხეირს არ მოელოდდა, მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობა მისი უიმისოდაც დანჯღრეული იყო. ამისათვის გელამ გადასწყვიტა პანკისში ეცხოვრა სხვა თუშების ჩასვლამდის. თუშები უშლიდნენ გელას და ეს დაშლა უსაფუძვლოდ არ იყო. შიშიანობა იყო იმ დროს. შამილი ისევ დაღესტანში იჯდა და როგორც გააფთრებული ლომი იგერებდა გარშემორტყმულს რუსებს, მისნი ქვეშევრდომნი ლეკი და დიდო სიმშილისაგან შეწუხებულნი დადიოდნენ ფარულად მთა-ბარში და მოულოდნელად ღამის გუშაგში თავს ესხმოდნენ ხალხს სოფლებში. დავლას დავლით იტანდნენ, ხალხი ტყვეთ მიჰყავდათ დაღესტანში და იქიდან სასყიდლით უბრუნებდნენ პატრონს. ეს შიშიანობა იყო მიზეზი, რომ თუშები უშლიდნენ გელას პანკისს ჩასვლას.

— ამ ორ კვირასაც როგორმე მოითმინე გელავ, სთქვა ერთმა მოხევეთაგანმა და ამ ორ-სამ კვირის შე-

*) მთაში წოვა თუშები ხის წნელებით აკეთებენ ქოხებს, ზედ ნაბდები აქვთ გადაფარებული.

ხი ადვილად ვერ იტანს მჟავეს და ავადმყოფობა ხშირდება... რა ხელთუბანი, ირგვლივ სოფლები სულ გაჭირვებულია. თითონ მეჯრუხევის ბოქაული დიდად იყო ამ გარემოებით შეწუხებული. „ვხედავ, მითხრა, მოდის გლეხი, ზურგზედ ოცი გირვანქა სიმინდის ფქვილი, ჰკიდია, წისქვილში უყიდნია და ოცის ვერსის სიშორეზედ მიაქვსო.

— რატომ ერთად არა ჰყიდულობთ, ბიჭო, ერთ კოდს, ან მეტსა, მუდამ ერთის ჩანახისთვის სად უნდა იარო, უფრო არა სცდები? ვეკითხებით. — რით ვიყიდო, შე დალოცვილო, რა გავყიდო, საქონელი და ცხვარი ჭირმა გასწყვიტა, ვენახები ომმა წაახდინა, სამუშაო აღარსად არის. ექვს შაურს იძლევიან დღეში და თან შენი პური ჭამეო. იმიტომ წავა სამუშაოდ კაცი, რომ მუცელი მაინც გაიძღოს, ფასსი რო ცოტა აიღოს. მაგრამ კი აღარ არის პური და ვის რა აჭამონო".

ხელთუბანში რო ურემი ჩამოივლის ვისიმე წისქვილში წასასვლელად, შუა სოფელში გააჩერებენ. ზოგი აქედგან მოარბენინებს ერთ ჩანახს, ზოგი იქიდგან ორსა, ნახევარ კოდსა. ერთ ურემზე კიდევ ათი თუთხმეტი პარკი გდია, თითოში თითო ფუთი არა ჰყრია. ვინც ურემს ვერ მოუსწრობს და უნდა აიკიდოს ორი ჩანახი სიმინდი (1 ფუთი 70 კაპ. ჰფასობს, ჩანახი შვიდ შაურად), წაიღოს წისქვილში და ზედ ერთი დღეც მოსცდეს. ახლა იქ დაფქვის მანდს აიღებენ, ზოგი დაიპნევა და ფუთისა 30 გირ. დარჩება მხოლოდ. 30 გ. ხომ თითონაც ღირს ერთს დღეს, ასე რომ ფუთი უჯდება მანეთზედ მეტი. გამოაცხობს ჩანახს ფქვილს ან გამოვა 16 ან 18 მჭადი. მღომამდე რო ჭამოს კაცმა, ორ მჭადს შესჭამს ჯერზედ; რა უნდა ჰქნას ოჯახმა, სადაც 8—10 სულია? რითი გამოიკვებნენ! ფუთი პური იყიდება 1 მ. 50 კ. გორშივე და ადგილობრივაც. სიმინდი კოდი 2 მ. 80 კ. ჰფასობს, ქერი არ არის. არც სიმინდილაა საშოვარი. პური ხომ სულ არ არის საწყალის ხალხის ხელ-მისაწვდენად. აღარც სესხად იძლევიან. კოდი 5 მ. იყიდებაო და ოხრები ვიქნებით, შენს 1½ კოდში 5 მანეთი დავაბანდოთო. იქნება კალოზედ კოდი ორ მანეთად გახდესო და სამი მანეთი რო ისევ ავიღოთ თავნითა და სარგებლით, ორი მანეთი ვისღა ვთხოვოთო. საქონლის საჭმელიც გამოილია დიდი ხანია. თივა ურემი 10—12 მანეთად ჯდება. ბზე თითო ბარდანა 60 კაპეიკადაა.

რა გვარი შემწეობა უნდა მიეცეს ხალხს, ამისას აღარას ვიტყვი. ეს კი უნდა ვსთქვა, რომ ხალხს სასოება არა აქვს დაკარგული, იმედიანად არის. ჭირნახულს რიგიანი პირი უჩანს. ვენახები ხელთუბანში საუცხოოდ არის. აქ არ გამხმარა, რადგან ზამთარში ჰმარხავენ ვაზს. დედამიწაზედ დააწვენენ და ზედ ბელტს ადებენ. მთელი ზამთარი ასეა და ყინვა ვეღარაფერს უშვრება. თუ არამ ჩამოუარაო, იძახის ხალხი, ღვინოებისთვის ჭურჭელი აღარ გვექნებაო.

ტ. რაზიკაშვილი

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ის ხმა, რომ ვითომ ესპანიისა და შეერთებულის შტატების ფლოტს შორის დიდი ბრძოლა მოხდა ატლანტიის ზღვაში, არ გამართლდა. გაზ. „Berlin Tageblat" იუწყება, რომ ესპანიის ფლოტი, რომელიც მწვანე კონცხიდგან კუბისაკენ გაემართა, შუა გზიდგან დაბრუნდა და ესპანიის ქალაქ კადიკსში მოვიდაო. გაზეთი უმატებს, რომ ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა ამერიკელები, ხოლო ესპანელები დიდად დააღონაო. მანილის ესკადრის დამარცხების შემდეგ, ესპანელები მოუთმენლად მოელოდნენ იმ ფლოტის გამარჯვებას, რომელიც ატლანტიის ზღვაშია, მაგრამ ამის ნაცვლად დაინახეს, რომ ფლოტი მტერს შეუშინდა, შუაგზიდგან დაბრუნდა და ესპანიაში მოვიდაო. ამან დიდს საგონებელში ჩააგდო მთელი ესპანია. ხალხს იმედი დაეკარგა, რომ იმათი ფლოტი როდისმე გაიმარჯვებს და ერთ ბრძოლაში მაინც ამერიკის ფლოტს დაამარცხებსო. დასასრულ გაზეთი იმასაც უმატებს, რომ ფლოტის ადმირალი ჭკვიანად მოიქცა, რომ უკან დაბრუნდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკა ამ ფლოტსაც ისევე გაანადგურებდა, როგორც მანილის ფლოტი გაანადგურაო. იგივე გაზეთი იუწყება, რომ რა წამსაც ვაშინგტონში ესპანიის ფლოტის დაბრუნების ამბავი მოვიდა, იმ წამს ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა შეუდგეს კუბისა და პორტორიკოს აღებასაო. მკითხველებს ეხსომებათ, რომ მთავრობას წინადვე ჰქონდა გადაწყვეტილი ამ კუნძულების აღება და ამ აზრით სამპსონის ესკადრაც გაგზავნა კუბაში, მაგრამ შემდეგ შესცვალა ეს გეგმა და დაადგინა ჯერ მწვანე კონცხიდგან მომავალი ესკადრა დაამარცხოს და მერე კუბა და პორტორიკო აიღოს. ხოლო ეხლა მთავრობა, ამ ესკადრის უკანვე დაბრუნებისა გამო, ისევ წინანდელ აზრს დასდგომია. ხსენებულის გაზეთის სიტყვით, მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ყველაფერი მოამზადონ ჯარის კუბაში გადასაყვანად. ამ აზრით 60 სავაჭრო გემი დაიქირავეს და კიდევ 150 გემს დაიქირავებენო. კუბაში სულ 60 ათასი ჯარის კაცი იქმნება გაგზავნილიო. ამ ჟამად 50 ათასი კაცი ჩიკვანაგვაში სდგას და დღე-დღეზედ ემზადება წასასვლელად. საზოგადოდ, მთავრობა, გაზეთის სიტყვით, დროს არა ჰკარგავს და ყველაფრის თადარიგს წინ და წინვე იჭერსო. მთავრობასთან ერთად არა ნაკლებ ზრუნვას იჩენს საზოგადოებაც. გაზ. „Times"-ის კორესპონდენტის სიტყვით, ახალგაზდა მილიონერმა ჯონ ჯაკობ ასტორმა წინადადება მისცა მთავრობას, რომ ჩემის ხარჯით ერთს რაზმს შევადგენო. ამასთან ასტორმა იკისრა თავის რკინის გზებზედ ამერიკის მთელის ჯარის უფასოდ გადაყვანა. მეორე მილიონერის ახალგაზდა ქალმა, გულდმა 100 ათასი მანეთი გადასცა მთავრობას ცხენოსანის რაზმის შესადგენად. მილიონერმა ოლივერ მელმონმა აჩუქა მთავრობას დიდი სამხედრო გემი, მშვენივრად გაწყობილი და შეიარაღებული. ერთმა მდიდარმა კაცმა კიდევ 4 მილიონი დოლლარი, ანუ 8 მილიონი მანეთი გადასცა მთავრობას ნაღმიანის გემის შესაძენად.

— ასეთ ამბებში არიან ამერიკელები, მაშინ, როდესაც ისპანიის საქმე დღითი-დღე უკან მიდის. ხალხი დიდს გაჭირვებაშია. თითქმის აღარავის აღარაფერი აბადია. მთელ ესპანიაში შიმშილია გამეფებული. სახელმწიფოს ფინანსები მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ხაზინაში ფული აღარ არის. სახელმწიფო ვალების სარგებელსაც-კი ვერ ასულია; მარტო კუბის ვალი 2 მილიარდ მანეთს აღემატება. ხალხი ისეა გაჭირვებული, რომ ახალის გადასახადის გაწერა ყოვლად შეუძლებელია. გაზ. „Reichs"-ის სიტყვით, ესპანიას გამარჯვებაც-კი არაფერს უშველის. შეიძლება, სწერს გაზეთი, ომის შემდეგ ესპანიის ფინანსებს ევროპის სახელმწიფოებმა ისეთივე საერთაშორისო კონტროლი დაუნიშნონ, როგორიც ამასწინად საბერძნეთს დაუნიშნესო.

—

**ინგლისი.** ესპანიისა და ამერიკის ომით გამოწვეულმა პურის სიძვირემ ინგლისის მთავრობაც დააფიქრა. გაზეთების სიტყვით, მთავრობა ყოველ ღონესა ღონობს, რომ ხალხი შიმშილს აცდინოს. ინგლისს ყოველ გვირა 240 მილიონი ფუთი პური სჭირდება. უმეტესი ნაწილი ამ პურისა ამერიკიდგან შემოაქვთ, ეხლა-კი ომის გამო ერთი ფუთიც აღარ შეუტანიათ. რომ შემდეგისთვის მაინც აიცდინონ თავიდგან ასეთი გაჭირვება, ამ საქმისათვის საგანგებოდ ამორჩეულმა პარლამენტის კომისიამ დაადგინა დაარსოს პურის მაღაზიები. მთავრობა ამ მაღაზიებში წინ და წინვე შეინახავს პურს და ასეთ გაჭირვების დროს მოიხმარს.

—

**იტალია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, იტალიის სხვა-და-სხვა ქალაქში მომხდარი ამბოხება მარტო პურის სიძვირეს არ გამოუწვევია თურმე. მათის სიტყვით, მეამბოხეთ აზრად რევოლიუციის მოხდენა ჰქონიათ. იმ კომიტეტის მეთაურებად, რომელიც ამ საქმეს განაგებდა, სოციალისტთა რამდენიმე დეპუტატი ყოფილა—ტურატა, ბისსოლატი, კოსტა და სხვანი. მთავრობამ ხელთ ჩაიგდო ამ კომიტეტის წევრების წერილები. როგორც ამ წერილებიდგანა სჩანს, არეულობა იტალიაში ერთს დღეს უნდა მომხდარიყო. მაგრამ, შემთხვევით, მილანში უფრო ადრე დაუწყიათ. მთავრობას ბევრი კაცი დაუპატიმრებია; სხვათა შორის დაუპატიმრებია მრავალი ბერიც.

## დამაკვირდი

ვინც არეულს დროს თვითვე გულით ყოყმანობს, იგი ბოროტს ამრავლებს და შეძლებას აძლევს გაძლიერებისას. ხოლო ვინც სულით მტკიცეა და შეურყეველი, იგი საკუთარს ქვეყანას იშენებს.

გოეტე

* * *

ლბილს, ცვარით გაჟღენთილს აბრეშუმის ქსოვილს ბასრის ხმლითაც ვერ გაჰკვეთავ. ლბილს, სიყვარულით გაჟღენთილს სულს ადამიანისას, ძალ-მომრეობითა და ბოროტებით ვერა სძლევ.

ჰერდერი

* * *

დედა არს ყოველთა გნებათა ცუდი დიდებაჲ.

გ. მ. ცხ. აღმწერელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ესპანიასა და ამერიკის შორის ატყდარს ომს ძლიერ შესამჩნევი შედეგი მოჰყვა ევროპაში პურის ვაჭრობისათვის. ყველაზედ ძლიერ ეს შედეგი დაეტყო გერმანიას. ესპანიაში და ფილიპეს კუნძულებზედ ძლიერ ნაკლებად მიაქვთ პური, ხოლო რაც ამერიკაში პური ჰქონდა შეკვეთილი გერმანიას, სრულებით აღარ მოუვიდა და ამის გამო გერმანიამ ძლიერ ბევრი იზარალა. ჯერ მარტო ფილიპეს კუნძულებზე ესპანია დიდ ძალ საქონელსა ჰგზავნიდა, ასე 20 მილიონამდე. ანტვერპენიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ესპანიასა და ამერიკის ომმა ძლიერ დააქვეითა თვალ-მარგალიტისა და ბრილიანტების ვაჭრობა. ბრილიანტების ქარხნებიდგან მუშები დაითხოვეს და რამდენსამე დღის შემდეგ 1,500 კაცი უსაქმოდ დარჩა. გაზეთები სწერენ, რომ სიგარების მოყვარულნი დიდს დარდში არიან თურმე. ინგლისში სიგარები, თურმე, ცოტაა და ამერიკიდგან ამ ჟამად აღარ მოაქვთ. აქამდე ინგლისში სიგარები მოჰქონდათ ნიუ-იორკიდგან, ეხლა-კი აღარ მოაქვთ და არავინ იცის, როდემდე გასტანს ამ გვარი ვითარება საქმისა. სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ყოველ წელიწადს ინგლისისათვის საჭიროა 100 მილიონი სიგარა. ინგლისის საწყობებში-კი ამ ჟამად 15 მილიონზე მეტი არ არის. ჰავანაში სიგარის ქარხნები დაკეტილია, მუშები-კი ჯარში არიან გაწვეულნი. ამასთანავე, ეჭვი არ არის, რომ ესპანიელები სულ ერთიანად გადასწვამენ შაქრისა და თამბაქოს პლანტაციებს, რომ ამერიკელებმა ვერ ისარგებლონო. ყოველ ამ მიზეზისა გამო სიგარები ძლიერ დაძვირდება. ეს კიდევ არაფერი. რა თქმა უნდა, უფრო ძნელია პურის დაძვირება, რომელიც უეჭველად მოჰყვება ომიანობას. ევროპის არც ერთს სახელმწიფოს პური საკმაოდ არა აქვს. ინგლისში ყოველ წელიწადს ამერიკიდგან ერთი ორად მეტი პური მოდის, ვიდრე თვით ინგლისსა აქვს.

---

მდევ ყველანი აიყრებიან.

— აბა, ვერ დავრჩები, სთქვა გელამ, ავადმყოფი კაცი ვარ. რომ დავრჩე, ვინ იცის, როგორ ვიქნები; იქნება უფრო დავსუსტდე და არ მინდა, სწორედ გითხრათ, რომ სხვის ბარგად გავხდე. ხომ იცით ჩვენი აყრის დრო. მაშინ ყველას თავისი საქმე აქვს და სხვისათვის არა სცალიან. თავისს საქმეს თავი დავანებებინო და ჩემთვის მოვაცდინო, აბა, არ არის კარგი. მაინც და მაინც რა გაჭირება მადგა. ეხლა კიდევ ცოტა ძალ-ღონე შემწევს. შემიძლიან უქომაგოდ ჩავიდე პანკისს.

— მართალია, უპასუხეს გელას, ეხლა შენ ბარი უფრო მოგიხდება. სიცივე გავნებს, მაგრამ ხომ იცი შიშიანობაა. მარტოკა პანკისში ცხოვრება საშიშოა.

— ეჰ, თქვენი გამკვირებია, ისე მაშინებთ ლეკებით, თითქო არ ვიცნობდე...

— შეშინებით არ გაშინებთ, კაცო, გააწყვეტინა ერთმა, მაგრამ ავათმყოფი ხარ. გული გულია, მაგრამ თუ მასთან ერთად ძალ-ღონესაც არ ერჩის, მარტო გული ვერას გააწყობს!..

— ეგ მართალია, მაგრამ ლეკები ბინაზედ ისე გაბედვით ვერ მოვლენ. ისინი ალაგს და შემთხვევას ეძებენ, როგორც ტურები.

— როგორც გინდა სთქვი, თუ ტყვედ ვერ წაგიყვანეს, გეძვრიან მალულად თოფს და მოგკლავენ.

— სიკვდილისა არ მეშინიან. ეჰ, ამოიოხრა გელამ, მაინც ჩემი ჯანმრთელობა დანჯღრეულია და წვალების მეტს არას მოველი სიცოცხლისაგან. მუდამ ავადმყოფი კაცი, რომ არ იყოს, ისა სჯობია. ნეტავი, ცოტა სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა... დიაღ რომ ტყვიით სიკვდილი ბევრჯელ უფრო სანატრელია!..

— სიკვდილისა არ მეშინიანო, რას გიქვიან კაცო, თითქო წყრომით წამოიძახა ერთმა ხალხიდგან, ვის უნდა ეშინოდეს სიკვდილისა, მაგრამ კაცი მარტო თავისთვის არ უნდა ჰფიქრობდეს. უნდა იცოდე, რომ ცოლშვილის, ოჯახის პატრონი ხარ. შენ თუ მოგკვლენ, ცოლშვილს რა პასუხს აძლევ?!.

ცოლშვილის ხსენებაში გელა ჩაფიქრიანდა. ეტყობოდა, რომ სიმართლიანმა საყვედურმა გავლენა იქონია. მცირე ფიქრის შემდეგ გელამ შეჰხედა თავისს ორს პატარა ვაჟს: პეტრესა და ალექსის, რომელნიც სიცოცხლით აღსავსენი სიცილ-კასკასით თიკნებივით დახტოდნენ შეკრულ ბარგზედ, და ნაღვლიანად სთქვა.

— ეჰ, რა ვქნა, რაც ღმერთს სურდეს, მოხდეს. მე მაინც აქ ვერ დავრჩები: წავალ, რაც მოხდება, მოხდეს.

— თუ მაინცა და მაინც წასვლა გადასწყვიტა, უნდა გავაცილოთ წინაგორის გზას, მიუბრუნდა ხალხს ერთი მოხუცთაგანი. ვინ იცის, შიშიანობაა. მარტო გაშვება არ იქნება, სირცხვილს ნუ გვაჭმევთ.

— მარტო გაშვება როგორ იქნება, უნდა უეჭველად ჩავაცილოთ, წამოიძახეს ხალხიდგან რამდენმამე.

— მე ჩავაცილებ! მე წავალ! წამოიძახეს ერთ-ხმივ ორმა ჭაბუკმა, რომელნიც ეხლა-ღა გამოსულიყვნენ ცხოვრების ასპარეზზედ და ეძებდნენ შემთხვევას როგორმე ლეკებთან შეტაკებით თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობაში და მით თემის პატივი დაემსახურებინათ.

— აბა, თუ წაჰყვებით, ნულარას დგეხართ, მოემზადენით.

— რა მომზადება გვინდა, მზათა ვართ.

— ცხენები აქა გყავთ?..

— რათ გვინდა ცხენები. ფეხით წასვლა უფრო არა სჯობია?

— სჯობია, სჯობია, ცხენები დაგაბრკოლებენ, წამოიძახეს სხვებმა, სანამ ცხენებს აჰკიდებდნენ ბარგს, ორი ჭაბუკი შეკალთავებულები იარაღში ჩამსხდარნი უკვე მზად იყვნენ. გელამაც შემოირტყა წელზედ თავისი არა ერთხელ მტრის სისხლით მოსვრილი ნაომარი ხმალი, გასინჯა თოფი და რა ნახა, რომ გატენილი იყო, მხრებზედ გადაიკიდა.

— გელა, ეგ თოფი დაგამძიმებს. მხრები გეტკინება; უნაგირის ტახტაზედ რომ ჩამოჰკიდო, ემჯობინება, სთქვა ერთმა ჭაბუკთაგანმა.

— რას ამბობ, ვაჟო, ღიმილით წარმოსთქვა გელამ, ვის გაუგონია თოფის უნაგირის ტახტაზედ ჩამოკიდება.

— არა, სუსტად რომ ხარ, იმისათვის გითხარი, თორემ ვიცი, რომ თოფს მხრებზედ იკიდებენ, თითქოს წყენით უპასუხა ჭაბუკმა.

გელა ცხენზედ შეჯდა, პეტრე და ალექსიც შესვეს ცხენებზედ და გაუდგნენ გზას. სანამ ტბათანის გორას გაივლიდნენ გზა და გზა თუშები უთვლიდნენ გელას და მის ცოლშვილს გზის მშვიდობას. აფრთხილებდნენ, რომ წინაგორის გზაზედ ფხიზლათ ჩასულიყვნენ, რადგანაც ადვილი მოსალოდნელი იყო ლეკის ლარო *) დაჰხვედროდათ. გაიარეს ტბათანის გორა და დაიწყო წინაგორის გზაც.

(შემდეგი იქნება)

*) სამტაცებლოდ გუნდ-გუნდათ დადიოდა მთის ხალხი და ასეთს გუნდს ეძახდნენ თუშები „ლარო"-ს.

საფრანგეთსა და გერმანიას თუმცა მეტი პური აქვთ, მაგრამ მაინც არა ჰყოფნით და თუ ომმა დიდ ხანს გასტანა, ეჭვი არ არის, რომ ამ სახელმწიფოებშიც დაძვირდება პური. ლონდონში ეხლავე დაძვირდა პური და ბევრი ფულიანი კაცი ყიდულობს პურს, რომ მერე უფრო ძვირად არ მომიხდეს ყიდვაო. ყიდულობენ აგრეთვე ნაშხირსაც, რადგანაც ეჭვი არ არის, რომ ნახშირიც გაძვირდება. ამას მოჰყვება გაძვირება ნავთისა, ყავისა, შაქრისა და სხვა ამ გვარ საჭირო სურსათისა. იტალიაში უკვე დიდი უწესოება მოხდა პურის გაძვირების გამო. ერთის სიტყვით, ესპანიასა და ამერიკის შორის ომმა ისეთი სიძვირე გამოიწვია, რომელსაც არავინ მოელოდდა.

ეხლა ეს ვიფიქროთო, სწერს გაზეთი „Temps“, რა იქმნება მაშინ, თუ ვინიცობაა თვით ევროპაში მოხდა ომი?

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მაისი

**ბერლინი.** „Post“ ამბობს, რომ ჩემბერლენის სიტყვამ ინგლისს გარეშეთაც ყველგან მითქმა-მოთქმა გამოიწვიაო. საფრანგეთის გაზეთებს ჩემბერლენი წამქეზებლად გამოჰყავთ. გერმანიის ზოგიერთ გაზეთშიაც ის ცუდათ არის მოხსენებული, რადგან მრავალ საახალშენო პოლიტიკურ უთანხმოებას გერმანიასა და ინგლისს შორის, უმეტეს ნაწილად, იმის ზედგავლენას აწერდნენ.

„National Zeitung“-ი დასცინის უკანასკნელ შენიშვნას „New jork-times“-ისას გერმანიის შესახებ. გერმანია, რომელსაც ყველასთან მშვიდობიანი განწყობილება სურს, სანამ მისი ინტერესები დარღვეული არ არის, რასაკვირველია, არ შეუერთდება რასულ ერთობისათვის ფანტასტიკურს ინგლის-საქსონურს კავშირსო, ამბობს გაზეთი. ესეც-კი არისო, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩემბერლენის სიტყვის შესახებ აღარავინ აღარ დაიწყებს ლაპარაკსო.

„Voss Zeit.“ ეჭვობს, რომ ინგლისს ვისმესთან დაკავშირების ნიჭი ჰქონდეს და კითხვას იძლევა: სად იპოვნის ინგლისი მოკავშირეებსო? რაღა თქმა უნდა, საფრანგეთს ვერ დაუკავშირდებაო; ავსტრია, როგორც ვოლუხოვსკიმ განმარტა, აღმოსავლეთის საქმეების შესახებ მჭიდროდ არის შეკავშირებული რუსეთის იმპერიასთან; გერმანიას არავითარი საფუძველი არ აქვს რუსეთს წაეჩხუბოს მისის მოქმედებისათვის აღმოსავლეთს აზიაშიო; იტალიას თავისი საკუთარი საქმეებიც ბლომად აქვსო; შეერთებული შტატები ძლიერ დაეჭვიანდება კავშირის შეკვრის შესახებ, რომელიც მომეტებულ სამხედრო ხარჯში ჩააგდებს მას, ვიდრე ეს მისთვის ასატანი იქმნებაო.

6 მაისი

**პეკინი.** პრინცი ჰენრიხი პრუსიელი სადარბაზოდ იყო ქვრივ დედოფალთან და იმპერატორთან. დედოფალმა მრავალი კითხვით მიჰმართა პრინცს; შემდეგ იმპერატორმა ინახულა პრინცი ამალითურთ დიდს დარბაზში; პრინცმა მიართვა მას იმპერატორის ვილჰელმის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები. იმპერატორის ნახვის შემდეგ პრინცმა დაათვალიერა ქალაქის ღირს შესანიშნავი ადგილები და დაბრუნდა დიდს დარბაზში, სადაც იმპერატორმა სამაგიერო დარბაზობა გაუწია მას და საჩუქრები გადასცა. ამის შემდეგ პრინცი და იმპერატორი, რომელთაც თარჯიმანი მისდევდა, მეორე ოთახში შევიდნენ, სადაც დიდ ხანს ისაუბრეს.

**მადრიდი.** ბარცელონის ზღვათა გამგეობამ ბრძანება მიიღო, რომ დიდსა და ჩქარა მიასიარულე სავაჭრო გემებს გასვლის ნება არ მისცეს, რადგან აზრად აქვთ ისინი შეაიარაღონ დამხმარებელ კრეისერებად.

**ვაშინგტონი.** სამპსონმა აუწყა ზღვათა სამინისტროს, რომ მან გარდასწყვიტა სამხრეთისაკენ წავიდეს და აქ გემები გაამწკრიოს, რათა სანტიაგოსა და სიენ-ფუეგოსში შესვლა შეუძლებელი ჰყოს, ხელი შეუშალოს ჰავანის მეციხოვნე ჯარისათვის სურსათის მიტანასა და ამავე დროს გაამაგროს სამხრეთის მხრივ ალყად შემორტყმული სუსტი ესკადრა.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციის კამისიის კრებაზედ გარეშე საქმეების შესახებ საქმის მომხსენებელი ფალკი შეეკითხა გრაფ გოლუხოვსკის: „Frankfurter Zeitung“-ი გუშინდელს ნომერში დაწვრილებით გვაცნობებს იმ კავშირის შესახებ, რომელიც, ვითომც, ავსტრო-უნგრეთს და რუსეთს შეუკრავთ ერთმანეთ შორისო. ყველანი დამშვიდდებიან, თუ მინისტრი იტყვის—მართალია ეს თუ არაო? გოლუხოვსკიმ უპასუხა: ამ კითხვაზე მე მოგიგებთ მოკლედ და ნათლად: „Frankfurter zeitung“-ის მიერ გამოქვეყნებული ამბავი მისგანვე მოგონილიაო.

7 მაისი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კიმბელეიმ იკითხა, რა განზრახვა აქვს მთავრობას ვეი-ჰაი-ვეის შესახებაო და ამასთანავე გაარჩია ჩემბერლენის მიერ წარმოთქმული სიტყვა. სალისბურიმ არ დართო ნება ჩემბერლენის სიტყვების გარჩევისა, რადგანაც ეს საგანი წინადვე არა ყოფილა გამოცხადებული და ჩემბერლენის სიტყვის შინაარსი არ ვიციო. ჩინეთის შესახებ სალისბურიმ წარმოსთქვა, თუმცა ჩინეთი მართალია სუსტია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ 400 მილიონი მცხოვრებნი საუკუნოდ დაქვეითდნენ იმის გამო, რომ ჩვენ ვეი-ჰაი ვეი დავიჭირეთ. ინგლისს უნდოდა მხოლოდ ჩაეგონებინა ჩაენერგა ჩინეთისთვის მხნეობა მტრის წინააღმდეგობისათვის, თუ ვინიცობაა შემთხვევა იქმნება. ინგლისს აზრადა აქვს დაეხმაროს ჩინეთს რეფორმებით. ამ კეთილის საქმის ასასრულებლადაო,—განაგრძო სალისბურიმ,—ჩვენ მეგობრობას ვიქონიებთ ყველა დიდ სახელმწიფოსთან, რომელთანაც-კი მოგვიხდება საქმის დაჭერა.

**ბერლინი.** შუადღისას, რუსეთის იმპერატორის დაბადების დღეს, მოხდა აღლუმი იმპერატორის ალექსანდრეს სახელის ჯარისა; აღლუმს დაესწრო რუსეთის ელჩი. იმპერატორმა ვილჰელმმა აუხსნა ჯარს მნიშვნელობა ამ დღისა და შემდეგ წარმოსთქვა „ვაშა“ რუსეთის იმპერატორის პატივ-საცემლად. მუსიკამ შეასრულა რუსული საერო ჰიმნი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს ჯირსკოესელოს ტაძარში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა: წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი, დიდნი მთავარნი, დიდნი მთავრინანი და დიდ კაცობა. პეტერბურგი მორთული იყო მაირაღებით; ყველა ეკკლესიაში წირვა და პარაკლისი იქმნა გარდახდილი; ისაკის ტაძარში წირვა გარდახდილ იქმნა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პალლადის მიერ.

**პეტერბურგი.** 1 მაისს მომხდარ სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოგებიან გირავნობის ფურცელთა მე-17 ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ხვდა შემდეგს ნომრებს:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთებისა. | მოგება | №№ სერიისა. | №№ ბილეთებისა. | მოგება. |
|---|---|---|---|---|---|
| 7836 | 5 | 200000 | 340 | 36 | ათას-ათასი მანეთი |
| 4972 | 2 | 75000 | 15342 | 19 | |
| 12944 | 39 | 40000 | 9223 | 17 | |
| 9991 | 29 | 25000 | 6174 | 17 | |
| 4760 | 16 | 10000 | 10119 | 7 | |
| 4843 | 17 | 10000 | 14422 | 11 | |
| 8418 | 4 | 10000 | 1398 | 21 | |
| 12832 | 34 | 8000 | 10836 | 29 | |
| 11697 | 19 | 8000 | 4021 | 37 | |
| 12939 | 8 | 8000 | 107 | 48 | |
| 8380 | 20 | 8000 | 15343 | 44 | |
| 15617 | 28 | 8000 | 4392 | 32 | |
| 5427 | 20 | 5000 | 11328 | 37 | |
| 2146 | 47 | 5000 | 350 | 15 | |
| 464 | 45 | 5000 | 502 | 50 | |
| 14965 | 18 | 5000 | 7073 | 3 | |
| 5216 | 3 | 5000 | 11945 | 10 | |
| 5871 | 50 | 5000 | 11216 | 32 | |
| 12672 | 30 | 5000 | 3221 | 13 | |
| 9448 | 36 | 5000 | 5806 | 42 | |

ხუთას მანათიანი.

| №№ ბილეთებისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთებისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთებისა. | №№ სერიისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1,933 | 17 | 13,652 | 34 | 14,211 |
| 1 | 3,441 | 18 | 1,335 | 35 | 4,408 |
| 1 | 6,843 | 18 | 2,420 | 35 | 6,366 |
| 1 | 12,614 | 18 | 11,200 | 35 | 6,517 |
| 2 | 976 | 18 | 14,632 | 35 | 7,420 |
| 2 | 3,728 | 18 | 14,994 | 35 | 12,595 |
| 2 | 6,634 | 19 | 1,082 | 35 | 13,034 |
| 2 | 9,161 | 19 | 1,704 | 35 | 13,739 |
| 2 | 15,143 | 19 | 2,355 | 35 | 15,156 |
| 3 | 2,815 | 19 | 6,060 | 36 | 2,063 |
| 3 | 11,059 | 19 | 6,987 | 36 | 7,643 |
| 3 | 11,617 | 19 | 7,629 | 36 | 9,891 |
| 3 | 11,962 | 19 | 8,702 | 36 | 10,205 |
| 4 | 554 | 19 | 10,787 | 36 | 10,850 |
| 4 | 7,089 | 19 | 11,807 | 36 | 14,239 |
| 4 | 8,786 | 19 | 12,246 | 36 | 15,657 |
| 4 | 10,604 | 19 | 12,368 | 37 | 928 |
| 4 | 10,884 | 19 | 15,308 | 37 | 11,085 |
| 5 | 272 | 20 | 4,709 | 37 | 12,380 |
| 5 | 5,449 | 20 | 12,641 | 37 | 15,068 |
| 5 | 5,561 | 20 | 15,375 | 38 | 269 |
| 5 | 6,407 | 21 | 1,527 | 38 | 864 |
| 5 | 10,987 | 21 | 3,612 | 38 | 2,042 |
| 5 | 12,154 | 21 | 3,689 | 38 | 15,368 |
| 6 | 1,057 | 21 | 5,365 | 39 | 1,316 |
| 6 | 2,392 | 22 | 10,774 | 39 | 5,687 |
| 6 | 5,340 | 22 | 11,086 | 39 | 6,522 |
| 6 | 12,679 | 22 | 11,454 | 39 | 7,155 |
| 6 | 13,470 | 22 | 12,971 | 39 | 10,025 |
| 7 | 2,116 | 22 | 14,038 | 39 | 10,633 |
| 7 | 7,056 | 22 | 14,483 | 39 | 11,520 |
| 7 | 10,288 | 22 | 14,749 | 39 | 15,433 |
| 7 | 12,034 | 23 | 2,965 | 40 | 677 |
| 7 | 12,190 | 23 | 3,634 | 40 | 1,241 |
| 9 | 1,650 | 23 | 6,148 | 40 | 11,680 |
| 9 | 3,258 | 23 | 10,563 | 41 | 7,009 |
| 9 | 3,386 | 23 | 12,352 | 41 | 8,087 |
| 9 | 3,412 | 24 | 55 | 41 | 8,799 |
| 9 | 4,173 | 24 | 3,350 | 41 | 9,028 |
| 9 | 4,803 | 24 | 12,027 | 41 | 12,586 |
| 9 | 9,105 | 24 | 13,192 | 41 | 12,891 |
| 9 | 10,662 | 24 | 14,894 | 41 | 14,534 |
| 9 | 15,057 | 25 | 4,460 | 42 | 2,194 |
| 9 | 15,637 | 25 | 5,954 | 42 | 4,445 |
| 10 | 2,225 | 25 | 9,964 | 42 | 14,664 |
| 10 | 2,522 | 25 | 11,602 | 43 | 330 |
| 10 | 11,146 | 26 | 1,828 | 43 | 5,402 |
| 10 | 10,850 | 26 | 5,095 | 43 | 14,092 |
| 10 | 13,638 | 26 | 6,430 | 44 | 495 |
| 10 | 15,770 | 26 | 9,985 | 44 | 504 |
| 11 | 1,763 | 26 | 11,627 | 44 | 3,327 |
| 11 | 3,299 | 27 | 6,531 | 44 | 3,519 |
| 11 | 7,846 | 27 | 11,984 | 44 | 7,620 |
| 11 | 11,155 | 27 | 14,164 | 44 | 10,994 |
| 11 | 13 548 | 28 | 1,249 | 44 | 11,636 |
| 12 | 259 | 28 | 6,178 | 44 | 13, 35 |
| 12 | 453 | 28 | 6,432 | 45 | 1,152 |
| 12 | 6,182 | 28 | 15,792 | 45 | 5,536 |
| 12 | 8,195 | 29 | 634 | 45 | 14,117 |
| 12 | 11,852 | 29 | 5,777 | 45 | 15,199 |
| 12 | 12,566 | 29 | 13,135 | 45 | 15,676 |
| 12 | 13,107 | 29 | 15 635 | 46 | 1,145 |
| 14 | 683 | 30 | 1,882 | 46 | 1,898 |
| 14 | 1,722 | 30 | 4,686 | 46 | 3,543 |
| 14 | 3,926 | 31 | 1,039 | 46 | 9,828 |
| 14 | 4,681 | 31 | 4,515 | 46 | 12,634 |
| 14 | 8,082 | 31 | 5,521 | 46 | 13,416 |
| 14 | 9,501 | 31 | 9,682 | 46 | 13,519 |
| 14 | 10,608 | 31 | 13,651 | 47 | 6,322 |
| 14 | 14,316 | 32 | 1,502 | 47 | 6,760 |
| 14 | 15,897 | 32 | 1,744 | 48 | 2,066 |
| 15 | 3,076 | 32 | 8,030 | 48 | 2,456 |
| 15 | 4,154 | 32 | 8,353 | 48 | 13,627 |
| 15 | 6,806 | 32 | 13.464 | 48 | 13 792 |
| 15 | 7,293 | 32 | 14,751 | 48 | 15,147 |
| 15 | 13,453 | 32 | 14,836 | 49 | 355 |
| 15 | 14,439 | 32 | 15,300 | 49 | 5,453 |
| 16 | 1,318 | 32 | 15,440 | 49 | 9,003 |
| 16 | 2,061 | 32 | 15,890 | 49 | 12,275 |
| 16 | 3,309 | 33 | 10,930 | 49 | 14,381 |
| 16 | 7,163 | 33 | 11,459 | 49 | 14,536 |
| 16 | 8,538 | 34 | 333 | 50 | 2.809 |
| 16 | 9,752 | 34 | 2,294 | 50 | 4,944 |
| 16 | 9,824 | 34 | 2,939 | 50 | 5,413 |
| 17 | 2,305 | 34 | 5,414 | 50 | 9,906 |
| 17 | 3,778 | 34 | 7,215 | 50 | 11,038 |
| 17 | 10,529 | 34 | 7,723 | | |

№№ სერიისა, გაუქმების ტირაჟში გამოსულთა ფურცელთა.

14112, 1717, 2564, 15097, 8089, 330, 8407, 2696, 7919, 6526, 14098, 6635, 5674, 15484, 15225, 8710, 12654, 3452, 10805, 7585, 9745, 4674, 2295, 3278. 206, 15786, 4479, 6906, 10018, 165, 13306, 8780, 3010, 7117, 3870, 12308, 5676, 5462, 5209, 3903, 13069, 6060, 15545, 3029, 2601, 130, 14529, 6107, 5382, 3947, 6350, 10969, 1129, 3206, 3693, 1633, 3271, 10871, 162, 13253, 11575, 1511, 7670, 5533, 12503, 11236, 7834, 2806, 3390, 15943, 5388, 37, 9104, 7881, 11609, 4229, 6748, 7568, 226, 4249, 6535, 10702, 49, 11989, 9249, 7868, 4820, 61, 7121, 14437, 1265, 15256, 7004, 744, 15458, 796, 10332. 2657, 8956, 14823, 2398, 9293 4439, 8567, 7334, 1998, 4227, 4116, 1217. 5588, 4978, 10750, 3458, 5997, 6006, 14733, 6924, 10447, 13545, 1779, 15010, 3608, 4662.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ გურულ ხოროს წარმომადგენელს, რომელმაც 23 აპრილს, ქვაშვეთში, წირვის მოსმენის შემდეგ, თანაგრძნობა განაცხადა ჩემ მიერ შედგენილ ქართულ საეკკლესიო ოთხხმიან ხოროს გალობის შესახებ და გადმომცა ერთი თუმანი ხოროს გაძლიერება-წარმატებისათვის. ჩვენთვის დიდად საგულისხმიეროა და წამაქეზებელიც ამ გვარი თანაგრძნობა უფრო იმიტომ, რომ ხსენებული შემომწირველი კარგი მცოდნეა გურულის გალობისა და ცნობილი მოღვაწე მის აღდგინების საქმეში. ეს მოვლენა ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ მცოდნე კაცისთვის ოთხ-ხმად გალობა არ წარმოადგენს არავითარს დარღვევას ქართულის გალობის თავისებურობას.

ხოროს გამგე ი. მონადირიშვილი



# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად ამით აცხადებს, რომ 11, 13, და 16 თიბათვეს ამა 1898 წლისას ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სახაზინო თუ საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ ნაღდ მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 11, 13, და 16 თიბათვეს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 30 თიბათვეს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ს თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი გარდასახადი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს. ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) ტფილისისა 11 თიბათვეს, 2) ტფილისის გარეშე ქალაქებისა 13 თიბათვეს, ბ) სოფლის მამულებისა 16 თიბათვეს ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 30 თიბათვეს 1898 წელსა.

**სხოლიო.** ვინც მოისურვებს ვაჭრობით შეძენას იმ მამულებისას, რომლებიც მოკლე ვადით არის დაგირავებული, უნდა წარადგინოს, დარჩენილ გარდასახადის გარდა, კიდევ 10% თავნის ვალისა.

### ქალაქის მამულები

ტფილისისა

არნაუტოვები არტემა და დავით სერგეის ძენი: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 საჟ. და $2^1/_2$ ოთხ-კუთხი არშინი, ქ. ტფილისში, 4 ნაწ., იარმუკაში. თავ. ვალი 2148 მ. 61 კ. შემ. გარ. 173 მ. 33 კაპ. სულ 2321 მ. 94 კ.